პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 35 (6596)

20 1980 წ. თებერვალი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



შვიდგზის!

საბჭოთა საქართველო კვლავ გამარჯვებულთა შორისაა. ზედიზედ მეშვიდედ! რესპუბლიკის მშრომელთა ვაჟკაცური გარჯა აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საამაყო, სახიხარულო გამარჯვებაა, რომელიც თანაბრად ეკუთვნის ყველას, ვინც ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, საკვლევ ლაბორატორიებსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებში იღვწოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

ამ დიდ წარმატებაში უეჭველად არის მათი წვლილიც, ვისაც შემოქმედებით ასპარეზად გაუხდია სტადიონები და დარბაზები, საწყულოსნო ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, ვინც მსოფლიოს აცნობს ჩვენი რესპუბლიკის სახელს და, ამავე დროს, თავიანთი შთამბეჭდავი წარმატებებით ხელს უწყობს მშრომელთა გუნება-განწყობის ამაღლებას — მათი შრომისნაყოფიერების ზრდას.

საქართველოს სპორტის სპეციალისტებს, ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ რესპუბლიკის საერთო წარმატებებს, მის ახალ დიდ აღიარებას ჭეროვანი თანდგომა ესაჭიროება. მათ კარგად იციან, რომ დიდი ჩამორჩენა, რომელიც სპორტული ბაზების მშენებლობაში, მასობრივ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში გაგვაჩნდა და რომლის აღმოფხვრის გზები დაისახა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებაზე, უცილობლად უნდა გამოსწორდეს. სახიხარულოა იმის შეგნება, რომ ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა. კერძოდ, უკანასკნელ წლებში აიგო 10 ახალი სტადიონი, 28 დარბაზი, 15 აუზი, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ველოდრომი, დიდი საწყულოსნო კომპლექსი...

აღსანიშნავია, რომ საყოველთაო ყურადღების ცენტრში დადგა მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, რომელიც ამას წინათ განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღო შესაბამისი დადგენილება. იგი სახავს ამ უმნიშვნელოვანესი უბნის მკვეთრად გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა ცხოვრებაში განუხრელი გატარება მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას აიყვანს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მაღალ მოთხოვნებამდე.

მასობრიობიდან — უმაღლეს ოსტატობამდე! ასეთია საბჭოთა სპორტის დევიზი, მისი წარმატებების ქვაკუთხედი. ჰეშმარიტად ამ ნაცადი გზით შეძლებს საბჭოთა საქართველო კვლავაც აღზარდოს ახალი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, რომლებიც თავიანთ სახახელო გამარჯვებებს კვლავაც მიუსადაგებენ ჩვენი რესპუბლიკის დიდ წარმატებებს.

დეპუტატობის კანდიდატი

მაიას ბედნიერი ღიმილი

უნიჭო ადამიანი არ არსებობს. ამიტომ დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი მიაგნებს თავის მოწოდებას და გულმოდგინე მეცადინეობით საქვეყნოდ წარმოჩნდება. მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერია ის, ვინც ბუნების მადლცხებულ ნიჭს ბავშვობაშივე გამოამჟღავნებს. სწორედ ასეთია მაია ჩიბურდანიძე.

დღეს 19 წლის მაია საქვეყნოდ აღიარებული მოჭადრაკეა: ქალთა შორის მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი, სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატი, ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატი და სპორტის დამსახურებული ოსტატი. ყველაფერ ამას მან თავგამოდებული ბრძოლით და შრომით მიაღწია.

ციცქნა გოგონა რომ იყო, მაიას ხშირად ნახავდით ქუთაისის საჭადრაკო კლუბში, სადაც საპაექროდ უფროს დას ლამარას დაჰყავდა. გვიანობამდე გატაცებით თამაშობდა. ზოგჯერ აღარც ახსოვდა, რომ ხვალ სკოლაში იყო წასასვლელი. ჭადრაკმა თოჯინები შეუცვალა. თბილისშიც, სადაც დედასთან ერთად 1972 წელს ჩამოვიდა, ასევე გაგრძელდა, ოღონდ ახლა ტურნირებში მონაწილეობაც დაემატა.

ფართო საზოგადოებრიობამ მაია ჩიბურდანიძე 1973 წელს გაიცნო, როდესაც 12 წლის გოგონამ მთელი ეს წელი გაუთავებლად იბრძოლა და მოიპოვა ქალთა შორის თბილისისა და საქართველოს თასები, გაიმარჯვა საკავშირო პირველობის ნახევარფინალში და ფინალშიც ითამაშა. ამას გარდა მონაწილეობა მიიღო თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სსრ კავშირის ქალთა თასის გათამაშებაში და სსრ კავშირ — იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩში ქალების დაფაზე. დიდმა, აქამდე გაუგონარმა მიღწევებმა ქვეყანა აალაპარაკა. მაშინ შიშიც გამოთქვა, რომ ერთი ციდა გოგონას ამდენი (ზედიზედ 12 შეჯიბრება) თამაში როგორ შეიძლებაო, მაგრამ რა იცოდნენ კრიტიკოსებმა, რომ მაიას თვალები ცრემლით ევსებოდა, როცა ტურნირში დაშვებაზე უარს ეტყოდნენ.

ახლა რომ ვიხსენებ იმდროინდელ მაიას, ვფიქრობ, მას ანდამატივით იზიდავდა ჭადრაკის საიდუმლოებანი, უზომოდ ახარებდა მათი წვდომა, კანონზომიერებათა ამოხსნა. მაია თითქოს ერთობოდა თამაშით და ვერ გრძნობდა, რომ ეს იყო დიდი შრომა. ბუნებით ჯანმრთელი ბავშვი ადვილად იტანდა ფიზიკურ დატვირთვას.

13 წლის მაია უკვე საერთაშორისო ოსტატია. 15 წლიდან კი ქალთა შორის მსოფლიო პირველობის სარბიელზე გამოდის. ამ დროს ყველა აღიარებს მის ბრწყინვალე მომავალს, მაგრამ გათამაშების ამ ციკლში შესაძლებელ პრეტენდენტად არავინ მიიჩნევს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ პრეტენდენტებთან ჭიდილში გოგონა გამოცდილებას შეიძენსო. მაგრამ მაიამ კვლავ სასწაული მოახდინა.

ჯერ საზონათშორისო ტურნირში (თბილისი, 1976 წ.) პრეტენდენტის საგზური მოიპოვა, მერე პრეტენდენტთა ყველა ეტაპზე გაიმარჯვა (სძლია ნ. ალექსანდრიას, ე. ახმილოვსკაიას, ა. კუშნირს) და ნ. გაფრინდაშვილთან შეხვედრის უფლება მოიპოვა. პარალელურად სსრ კავშირის ჩემპიონიც გახდა.

სწორუპოვარი ნ. გაფრინდაშვილი, როგორც რ. ფიშერი და ა. კარპოვი, მუდამ იყო მაიას კერპი. მათი სურათები საგანგებოდ ახლაც აქვს შინ გამოკიდებული. მაიამ იცოდა, რომ მეტოქედ დიდი ჩემპიონი ჰყავდა და ძნელი ბრძოლა ელოდა, მაგრამ არ შეშინდა და ისევ სასწაული მოახდინა: შეძლო ჭადრაკის სადედოფლოს გვირგვინოსანი გამხდარიყო. მსგავს ამბავს — 17 წლის მსოფლიო ჩემპიონს — ჭადრაკის მატიანეში ვერ შეხვდებით.

და მხოლოდ მწვერვალის დაპყრობის შემდეგ იგრძნო მაიამ, რა დიდი ტვირთი იდო თავს. მსოფლიო ჩემპიონს ბევრი მოეთხოვება, პირველ ყოვლისა, წარმატებითი თამაში და ჭადრაკის პოპულარიზაცია. მაიაც ხალისით სწევს ამ უღელს...

მაგრამ მაიას ცხოვრება ჭადრაკით როდი ამოიწურება. იგი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. ფიქრობს, ექიმი გახდეს. მისმა თანაჯგუფელებმა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტში აირჩიეს, საქართველოს კომკავშირლებმა კი — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატად.

ახალგაზრდა მოჭადრაკეს უყვარს წიგნები, მუსიკა. წიგნებსა და ფირფიტებს აგროვებს კიდეც. მის პიბლიოთეკაში შეხვდებით ცნობილი მწერლების ტომებს, დიდი იტალიელი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციებს... გოგონამ იცის ძველი ქართული ენა და ბევრსაც კითხულობს.

მაია ჩიბურდანიძის წინაშე გადაშლილია ცხოვრების დიდი შარაგზა. მისი მომავალი ნათელია. იგი მოწოდებულია წარმატებით იაროს თავისი დიდი ქვეყნის, მამულისა და მშობელი ხალხის სადიდებლად.

სწორედ ამ ხალხმა გამოუცხადა მაია ჩიბურდანიძეს დიდი ნდობა, როდესაც იგი დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ვფიქრობ, მაია გაამართლებს ამ ნდობას, იქნება ხალხის ღირსეული რჩეული.

თ. გიორგაძე.

გუშინ ქალაქ თბილისის № 56 სტუდენტთა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა შეხვედრა გაუმართეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატ **მაია გრიგოლის ასულ ჩიბურდანიძეს**.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 11 საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ ბ. მეტონიძემ.

მ. გ. ჩიბურდანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შეკრებილთ უამბო დეპუტატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგემ დოცენტმა გ. დოლიძემ, რომელმაც ამომრჩევლებს მოუწოდა 24 თებერვალს ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს.

სიტყვა ეძლევა დეპუტატობის კანდიდატს მ. ჩიბურდანიძეს. გამოჩენილმა დიდოსტატმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი დაფასებისთვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ ნდობას, მომავალშიც არ დაზოგავს ცოდნასა და ენერგიას სწავლასა და სპორტში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

პირველი ფინალისტი ცნობილია

XIII ოლიმპიურ თამაშებზე ქვეჯგუფებში გაიმართა IV ტურის შეხვედრები. „წითელ“ ქვეჯგუფში მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: სსრ კავშირი — ფინეთი 4:2, კანადა — იაპონია 6:0, ჰოლანდია — პოლონეთი 5:3. ამ გამარჯვებით საბჭოთა ნაკრებმა, ქვეჯგუფში დარჩენილი ერთი მატჩის მიუხედავად, გაიანდა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

მეორე ანუ „ლურჯ“ ქვეჯგუფში შვედებმა მოუგეს ნორვეგიელებს — 7:1, ჩეხოსლოვაკიელებმა — დასავლეთ გერმანიის ნაკრებს — 11:3, ამერიკელებმა — რუმინელებს — 7:2.

ქვეჯგუფებში გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ თითო მატჩი, რის შემდეგ ორ-ორი უძლიერესი შექმნის ფინალურ ჯგუფს და მედლების ბედიც მათ შორის გაირკვევა (ქვეჯგუფებში ნათამაშები შედეგები ფინალისტებს გადამწყვეტ ბრძოლებში მიჰყვებათ).

გათამაშების ცხრილები

„წითელი“ ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	4	4	0	0	45—7	8
კანადა	4	3	0	1	24—6	6
ფინეთი	4	2	0	2	16—15	4
ჰოლანდია	4	1	1	2	13—33	3
პოლონეთი	4	1	0	3	10—22	2
იაპონია	4	0	1	3	6—31	1

„ლურჯი“ ქვეჯგუფი

შვედია	4	3	1	0	22—5	7
აშშ	4	3	1	0	21—8	7
ჩეხოსლ.	4	3	0	1	33—12	6
გფრ	4	1	0	3	19—26	2
რუმინეთი	4	1	0	3	10—26	2
ნორვეგია	4	0	0	4	5—33	0

სურათზე: სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდების შეხვედრის მომენტი. უტევს ვ. გოლიკოვი.

საკადრო-საინფორმაციო ტელეფოტო.

სპორტული ბაზა: როგორია მისი უკუგება?





„დინამო“ – დიდი სპორტი და ფიზკულტურა

თბილისის „დინამოს“ სტადიონი. გულშემატკივრებს ამ ადგილის გაგონებაზე თვალწინ წარმოუდგებათ მაყურებლებით სავსე ტრიბუნები, მწვანე მინდორზე გაჩაღებული საინტერესო საფეხბურთო მატჩი.

მაგრამ მათგან, ვინც საფეხბურთო სეზონში ასე ხშირად სტუმრობენ ამ ბაზას, ალბათ ბევრმა კარგად არც კი იცის თუ რა ხდება, იმავე ტრიბუნების ქვეშ მოწყობილ საცურაო აუზში, კალათბურთის, კრივის, ჭიდაობის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის დარბაზებში, მძლეოსნურ მანეჟში, ტირში...

ამ წერილში მხოლოდ სტადიონის შესახებ კი არა, „დინამოს“ სპორტკომბინატის როლსა და მნიშვნელობაზე, მის ავ-კარგზე გვექნება საუბარი. კომბინატში კი ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის გარდა ჩოგბურთის კორტები (ი. სტალინის სახელობის სანაპიროზე) და დიდმა საწვრთნელი ბაზაც შედის.

ნათელია, რომ ფეხბურთში, მძლეოსნობასა და ჩოგბურთში სპორტკომბინატის ბაზები მეგავსი სადემონსტრაციო სხვა ნაგებობა რესპუბლიკაში არ გაგვაჩნია (იგი კავშირის მასშტაბითაც საუკეთესოა). „დინამოს“ ამ სახეობებში გუნდებიც ძლიერი ჰყავს. ამავე დროს სპორტკომბინატის კოლექტივი ბევრს ზრუნავს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ფართოდ გაშლისთვის. მარტო აუზში 30 სპეციალური ჯგუფია, რომლებშიც 600 ბავშვი ეუფლება ცურვას, აქვე 5 ჯგუფი ემსახურება ცურვის სწავლით დაინტერესებულ მოზრდილებსაც თუ გამაჯანსაღებელი ჯგუფების ასამდე წევრს.

აუზის საქმიანობა ამით როდი შემოიფარგლება: მშთ-ს ნორმატივების ჩაბარების მსურველებისთვის 12-დან 14 საათამდე მუდამ ღიაა მისი კარი. მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების პერიოდში აქ ყველა მოზარდს უსასყიდლოდ უთმობენ დროს, გამოცდილი ინსტრუქტორები მათ რჩევა-დარიგებას არ აკლებენ.

— სპორტკომბინატში აუზი გამონაკლისი როდია, ჩვენს კორტებზე ბავშვთა 6 ჯგუფში 90 მოზარდი მეცადინეობს, საერთო ფიზმომზადების ჯგუფებში ყველა ასაკის 60 ადამიანია ჩაბმული — გვიხსნის სპორტკომბინატის დირექტორის მოადგილე თ. ყიფიანი, — სულ ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელ საქმიანობის ყველა ფორმაში 850-მდე ადამიანია გაერთიანებული.

850! ეს მცირე არ არის, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სპორტკომბინატის ყველა ბაზის ერთდროული გამტარუნარიანობა 420 კაცს სჭარბობს, დავრწმუნდებით, რომ აქ ყველა რეზერვი გამოყენებული როდია — ხშირად, როცა სპორტული ჯგუფები არ მეცადინეობენ, დარბაზები ცდება.

ამ შენიშვნაზე გვიპასუხეს, რომ გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული 539996 კაც-საათის მაგიერ ბაზაზე 7 ათასი კაც-საათით მეტი დრო დაეთმო ჯგუფების საქმიანობას, წლიურმა შემოსავალმა 1 მილიონ 877 ათას მანეთს გადააჭარბა, რაც გეგმიურს თითქმის 64 ათასით აღემატება. ამან კომბინატს საშუალება მისცა საჭირბოროტოდ შეემცირებინა დოტაცია.

ეს მონაცემებიც, რა თქმა უნდა, სპორტკომბინატის მიერ შარშან ჩატარებულ მუშაობას დადებითად ახასიათებს. სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელების, უეფა-ს კომისრების, მსაჯების, სხვა სტუმრებისგან სტადიონის წინადადებათა წიგნშიც მადლობის ბევრი სიტყვაა ჩაწერილი.

მაგრამ რესპუბლიკის პირველი სპორტული ბაზის საქმიანობაში მაინც არის ნაკლოვანებები. მათი მიზეზების ძებნას უმეტესად ისევ სპორტკომბინატამდე მივყავართ.

— ჩოგბურთის სტადიონზე ბევრი რამ გაკეთდა. ამაში შეფერხებას გვიქმნის ის გარემოება, რომ ამ ბაზის ტერიტორიაზე ორი სხვადასხვა ორგანიზაციის — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროები დიდად დაგვეხმარა — კეთილმოეწყო გასახდელები, საშხაფეები, სტუმრებისა და მწვრთნელთა ოთახები, ბუფეტი, ცხრავე კორტი (ეს მადლი, სამწუხაროდ, ცენტრალურ ტრიბუნებს ვერ მისწვდა), უკვე გავაჩაღეთ საფეხბურთო სეზონისთვის სტადიონის რემონტი, დიდმა ბაზაზე ბევრი რამ გაკეთდა... — გვიყვებიან აქ.

ამავე დროს არც ის დაუმალავთ, რომ დღემდე საშველი არ დადგა მეორე იარუსზე ასასვლელი საფეხურების ბაზალტით გატაცის საქმე, ცენტრალურ სტადიონზე ამაი ვერ ვიტყვით. არც მთავარი საასპარეზოს მხატვრული გაფორმების საქმეა სახარბიელოდ, სპორტის პროპაგანდის დონეც ჩამორჩება.

სპორტკომბინატის ხელმძღვანელობას ახალი სეზონისთვის ამ ნაკლოვანებების გამოსწორებისთვისაც უფიქრია (სათანადო ნახაზებიც გვაჩვენეს), მაგრამ გაზაფხული კარს მოგვადგა და საეჭვოა, რომ საკავშირო ჩემპიონატისთვის ყველაფერი მოასწრონ.

ბევრი საკითხის დადებითად გადაწყვეტა სპორტკომბინატის ხელმძღვანელობის ძალებს აღემატება. მაგალითად, საქაბრეშუმის სამმართველოსა და აბრეშუმის საკვლევი ინსტიტუტის შენობაში (იგი თითქმის სტადიონის ტერიტორიაზეა) სპორტსმენთა საერთო საცხოვრებლისა და კვების ბლოკის მოწყობა ამ შენობის განთავისუფლებაზეა დამოკიდებული.

როგორც ვნახეთ, „დინამოს“ სპორტკომბინატი მთლიანი უკუგებით ვერ მუშაობს, ზოგიერთი მიზეზიც მოვიხსენიეთ. ვფიქრობთ, მათი აღმოფხვრა ბევრად გააიოლებდა კოლექტივის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას, გაზრდიდა სპორტული და გამაჯანსაღებელი ჯგუფების რიცხვსა და მათში მომეცადინეთა რაოდენობას, აქედან გამომდინარე, უკუგებაც გაცილებით მეტი იქნებოდა.

გასულ სეზონში „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ფასიან და უფასო სპორტულ ღონისძიებებს მილიონნახევარი კაცი დაესწრო. ეს საამაყო ციფრია, მაგრამ მათი მომსახურების მაღალ დონეზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ!

ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: „დინამოს“ სტადიონის მოედნებსა და დარბაზებში. ვარჯიშობენ „სპარტაკის“ ფეხბურთელები; ხუთჭიდელები ტირში; სტადიონის მანეჟში მძლეოსნებთან მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი ი. აგაპოვი; აუზში.

ჯ. ლომაძის ფოტოები.



თხილამურებით ტურისტულ გილიკებზე

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს მიეძღვნა სათხილამურო ტურისტული ლაშქრობა, რომელშიც ცაგერის, ჩხუტელოს, ლასუროაშის საშუალო სკოლებისა და ქვედა ცაგერის 8-წლიანი სკოლის 23 მოთხილამურე მონაწილეობდა.

მოლაშქრეებმა სტარტი ცაგერში აიღეს, ცხენისწყლის ხეობით სოფელ წიფერჩის გავლით გადალახეს ჩქუმ-წიფერჩის გადასასვლელი და სოფელ ჩქუმში ჩავიდნენ. იქ დაათვალიერეს ეს მაღალმთიანი ლამაზი სოფელი, მისი 8-წლიანი სკოლის ახლად აგებული შენობა, საარჩევნო უბანი, აგიტპუნქტი... ესაუბრნენ სოფლის მშრომელებს.

საღამოს ლაშქრობის მონაწილეები მდინარე ჯონოულის ხეობით ცაგერში დაბრუნდნენ. ყველამ წარმატებით დაძლია 25-კილომეტრიანი მარშრუტი.

მ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

● მშვილდოსნობა

ლიდერობას ქეთევან ქურციკიძე აბრუნებს

კლაიპედაში სტარტი აიღო მშვილდოსანთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატმა. ადგილობრივ მანეჟში გამარჯვებისთვის იბრძვიან ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები. მათ შორის ოლიმპიელებიც, ისინი, ვინც მოსკოვის XXII თამაშებში მედლებისთვის უნდა იასპარეზონ.

მონაწილენი ჩემპიონობისთვის 4 დღეს იბრძოლებენ. ვაჟთა შორის პირველივე დღეს ორი საკავშირო მიღწევა დაამყარა (დახურული დარბაზებისთვის) დინამოელმა ვ. ეშეევმა: 90 მეტრიდან 322 ქულა მოაგროვა, 70 მეტრიდან — 333. იგი ორი დისტანციის ჯამში 655 ქულით სათავეში ჩაუდგა ტურნირს. მომდევნო ადგილებზე არიან არმიელები გ. კირიჩენკო — 628 და ა. კისლიცინი — 617.

ქალთა ტურნირი შესანიშნავად დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტმა ქ. ლოსაბერიძემ („ბურევესტნიკი“). 70 მეტრზე მან 316 ქულა მოაგროვა, 60 მეტრზე — 327 და პირველი დღის შემდეგ 643 ქულით ხელთ იგდო ლიდერობა. ლოსაბერიძემ II ადგილზე მყოფი ვ. კოვპანი („შეიარაღებული ძალები“) 8 ქულით ჩამოიტოვა, ხოლო დინამოელი ზ. რუსტამოვა — 9 ქულით.

● ფიგურული სრიალი

საპრიზო ადგილებზე

ოდესაში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა ფიგურულ სრიალში („ბროლის ციგურები“) გოგონათა და ჭაბუკთა შორის. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა (1967-1968 წწ. და 1969-1970 წწ. დაბადებულნი).

კარგად იასპარეზეს ქართველმა გოგონებმა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საციგურაო სკოლის აღსაზრდელებმა. უფროს ასაკობრივ ჯგუფში (მონაწილეობდა 21 გოგონა) II ადგილი ხვდა ნელი დვალიშვილს (მწვრთნელი ა. შამყულაშვილი) — 108,35 ქულა. პირველობა მოსკოველმა ირინა კლიმოვამ (116,17 ქულა) მოიპოვა. მესამე იყო ლენინგრადელი ინა კრუნდიშევა — 107,09.

უმცროს ასაკობრივ ჯგუფში (32 მონაწილეს შორის) მესამე ადგილზე გავიდა ლია სამხარაძე (მწვრთნელი ლ. დოლიძე) — 113,44 ქულა. ლიას აჯობეს მხოლოდ ოლგა კუტიამ (რსფსრ) — 125,94 ქულა და ირინა კაკემ (უკრაინა) — 116,61.

ჯ. ჭუმბურიძე.

● ქართული ჭიდაობა

გაიმარჯვეს კასპელმა ფალავნებმა

გორის ბავშვთა სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზში მოეწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1960-61 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გეგეჭკორის, საგარეჯოს, ჭიათურის, ხაშურის, ამბროლაურის, ყვარლის, ტყიბულის, ახმეტის, კასპის, გარდაბნის, ქარელისა და გორის გუნდები.

კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით გამოირჩინეს თავი ლ. ცოტნიაშვილმა (გორი), ა. მერაბიშვილმა და ვ. მამულაშვილმა (კასპი), გ. მაისურაძემ და ზ. კვერაშვილმა (საგარეჯო), შ. თედეევმა (ახმეტა), პ. კორაევმა (სამხრეთ ოსეთი) და სხვ.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს კასპელმა მოჭიდავეებმა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საგარეჯოსა და სამხრეთ ოსეთის გუნდები.

პირად ჩათვლაში პირველობდნენ ვ. ხარბეგაშვილი (ამბროლაური), ლ. ცოტნიაშვილი (გორი), ა. მერაბიშვილი (კასპი), პ. კორაევი (სამხრეთ ოსეთი), ბ. ბეჟაშვილი (საგარეჯო), ა. თედეევი (ახმეტა), ზ. კვერაშვილი (საგარეჯო), ვ. მამულაშვილი (კასპი).

შეჯიბრება გორში საუკეთესოდ იყო ორგანიზებული.

ს. კაციტაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.)

გაზეთ „ლელოს“ პრიზეგზე

ნისლში გახვეულ კოსტიდან

ხშირმა ნისლმა და ცერად წამოსულმა თოვლმა მთლად დაფარეს კოხტაგორის მწვერვალი: ქვემოდან სტარტი კი არა, ტრასის (მისი მონაცემები ისეთივე იყო, როგორც I გიგანტური სლალომის დროს) ნახევარიც არ ჩანდა. მოთხილამურეები მხოლოდ 30-40 მეტრზე თუ „აკვლევდნენ“ გზას. მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, მსაჯთა კოლეგიამ მაინც ჩაატარა სამთო-მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატის IV ტურის ასპარეზობა „ლელოს“ პრიზზე (მეორე გიგანტური სლალომი).

სტარტზე 113 ვაჟი გამოვიდა. I ცდაში უველაზე კარგი დრო ჰქონდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ს. ნაზაროვს („შრომითი რეზერვები“) — 1.06,47. მეორე ცდაში ბურევესტნიკელმა სპორტის ოსტატმა ვ. კოსულინმა იმარჯვა — 1.12,15. ორი დაშვების შედეგთა შეჯამებისას უკეთესი დრო აღმოაჩნდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. სინეტოვს („სპარტაკი“) — 2.19,20. ნაზაროვი მეორე იყო — 2.19,65, კოსულინი — მესამე — 2.20,49.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ს. მიქაბერიძე („სპარტაკი“) და ვ. სანაკოევი („დინამო“) მეორე ცდაში სტარტზე არ გამოვიდნენ. უველაზე უკეთ მასპინძელთაგან დინამოელი გ. დიაკონაშვილი დაეშვა. მან მე-18 შედეგი აჩვენა — 2.27,68 (1.09,54 და 1.18,14), აღსანიშნავია, რომ 16 წლის მოთხილამურემ ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

დღეს გიგანტურ სლალომში ქალები იასპარეზებენ.

ო. ნოზაძე.

(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).



სურათებზე: ზევით მარცხნივ — „ლელოს“ პრიზის გათამაშების პირველ შეჯიბრებაში — გიგანტურ სლალომში გამარჯვებულები ლი ი. იუდინი, კოხტაგორისაკენ; ქვევით მარცხნივ— ამ შეჯიბრებაში ქალთა შორის საპრიზო ადგილებზე გასულნი ტ. პერჩატკინა (№ 6), ნ. პერჩატკინა (№ 7) და ს. ლებედევა; მსაჯები მონაწილის მოლოდინში. წ. ქარელის ფოტოები.

● მძლეოსნობა

ტურნირის ნიშანი მილხეებით

მოსკოვში, ფიზკულტურის ინსტიტუტის მანეჟსა და ძმები ზნამენსკების სახელობის დახურულ სტადიონზე დამთავრდა ზამთრის საკავშირო პირველობა, რომელშიც რამდენიმე მიღწევა გაუმჯობესდა, მათ შორის მსოფლიოსიც.

800 მეტრზე რბენაში წინასწარი ასპარეზობისას დონეცკელმა ო. ვახრუშჩევამ 2.00,4 აჩვენა, ფინალში უფრო უკეთესი შედეგი — 1.58,4 მოიპოვა და მსოფლიოს რეკორდი კვლავ გაუმჯობესა. ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ლინგემ საბჭოთა სპორტსმენებიდან პირველმა შეძლო 400 მეტრზე რბენაში 46 წამის ზღვარიდან გამოსულიყო — 45,9. მსოფლიოში ასე სწრაფად დარბაზში წლეულს არავის ურბენია.

1500 მეტრზე რბენაში საკავშირო რეკორდსმენი გახდა ვ. მალოზემლინი (ტოლიატი) —3.41,0. ამან მას ოქროს მედალი მოუპოვა.

საკავშირო მიღწევას დაეუფლა აგრეთვე, მინსკელი ვ. ახრომენკო, რომელიც 194 სმ სიმაღლეს გადაევლო.

ჩემპიონატის ბოლო დღეს კიდევ ორი საკავშირო მიღწევა დაემყარდა. ერთი — 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში (მისი ავტორია ჩებოკსარელი ვ. სემიონოვი — 39.20,8), მეორე — 100 მეტრზე თარჯრბენში (მოსკოველი ნ. ლებედევა — 13,19). სამხტომი მოიგო ესტონელმა ი. უუდმიაემ — 16,59. ეს შედარებით დაბალი შედეგია და იმითაა გამოწვეული, რომ ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ ვ. სანეევი და გ. ვალიუკევიჩი.

● ფეხბურთი

ფინალისტთა გეგმები

ევროპის ჩემპიონატი

ევროპის ჩემპიონატის 8 ფინალისტი ინტენსიურად ემზადება ამ მეტად საინტერესო ასპარეზობისთვის. აი, მონაწილეთა მთავარი მწვრთნელების გეგმები შეჯიბრების დაწყებამდე:

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გრინვუდი გეგმავს ათდღიან შეკრებას უშუალოდ შეჯიბრების წინ. ამას გარდა, ნაკრები გამართავს ამხანაგური მატჩების სერიას. ერთი (ირლანდიასთან, ლოხდორში) ინგლისელებმა უკვე მოიგეს ანგარიშით 2:0. 26 მარტისთვის დანიშნულია შეხვედრა ესპანელებთან, 13 მაისს — არგენტინელებთან, 17 მაისს—უელსელებთან (დიდი ბრიტანეთის პირველობა), 20 მაისს—ჩრდილოეთ-ირლანდიელებთან (დიდი ბრიტანეთის პირველობა), 24 მაისს — შოტლანდიელებთან (დიდი ბრიტანეთის პირველობა), 1 ივნისს—ავსტრიელებთან. გარდა ინგლისში მოთამაშე ფეხბურთელებისა, გრინვუდი სისტემატურად მოიწვევს უცხოეთში მოთამაშე 3 ცნობილ თავდამსხმელს: კანონგემს (მადრიდის „რეალი“), კუდაკოვს („კიოლნი“) და კიგანს („ჰამბურგერ შპორტფერაინი“).

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა (მწვრთნელი ვენგლოში) მზადება დაიწყო 5 ამხანაგური მატჩით ავსტრალიაში. მარტში ამას მოჰყვება შვეიცარიელებთან შეხვედრა, აპრილში — მატჩები ესპანელებთან და უნგრელებთან, მაისში — ირლანდიელებთან (უველა ამ მატჩის თარიღი ახლა ზუსტდება). შემდეგ გენგლოში აპირებს დასკვნითი შეკრების მოწვევას ვისოკი ტატრაში.

ესპანეთის ნაკრებმა (მწვრთნელი კუბალა) მზადება დაიწყო ჰოლანდიელებთან მატჩით, რომელიც მოიგო ანგარიშით 1:0. წინ არის შეხვედრები ინგლისელებთან (26 მარტს) და დანიელებთან (21 მაისს). ამის შემდეგ დაიწყება გუნდის დასკვნითი შეკრება.

გელგიის ნაკრების მწვრთნელმა გი ტიესმა განაცხადა, რომ მისი გუნდის წევრები ივნისამდე რამდენჯერმე შეიკრიბებიან. გაიმართება ამხანაგური მატჩები, ძირითადად ძლიერ საკლუბო გუნდებთან. თარიღები ზუსტდება.

ჰოლანდიის გუნდის მწვრთნელი ცვარკრუსი მაისის მიწურულს და ივნისის დაწყისში გეგმავს საბოლოო შეკრებას ცაისტში. 23 მარტს ჰოლანდიელები თამაშობენ საფრანგეთის ნაკრებთან, აპრილში გაიმართება შეხვედრა რომელიმე ძლიერ საკლუბო გუნდთან (შესაძლოა, „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“).

გფრ-ის ნაკრები (მწვრთნელი დერვალი) ძირითადად საკლუბო გუნდებს შეხვდება. ივნისის დასაწყისში გათვალისწინებულია ნაკრების წევრთა საბოლოო თავმოყრა და ორმხრივი მატჩების ჩატარება.

საბერძნეთის ნაკრები (პანაგულისის ხელმძღვანელობით) მაისის ბოლო რიცხვებიდან აწყობს 15-დღიან შეკრებას. გათვალისწინებულია ამხანაგური მატჩები კიპროსისა და შვეიცარიის, აგრეთვე, შესაძლოა, საფრანგეთისა და ესპანეთის გუნდებთანაც.

როგორც **იტალიის** ნაკრების ხელმძღვანელმა ბეარზოტმა განაცხადა, დაგეგმილია შეხვედრები რუმინეთის, ურუგვაისა და პოლონეთის გუნდებთან, შესაძლოა კიდევ იმ ნაკრებებთან, რომლებიც ევროპის პირველობის ფინალში არ მოხვდნენ. მაის-ივნისში მოეწყობა იტალიის გუნდის სამკვირიანი საბოლოო შეკრება.

ამ დიდი შეჯიბრების ფავორიტებად მიმომხილველები ასახელებენ იტალიის, ინგლისისა და გფრ-ის ნაკრებებს.

გ. თორელი.

„უძლები შვილის“ დაბრუნება

ბრიტანეთის ფეხბურთის „უძლებ შვილად“ წოდებული ჯორჯ ბესტი, რომელიც 1968 წელს ევროპის № 1 ფეხბურთელი იყო, კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ დაბრუნდა ევროპაში. ახლა იგი შოტლანდიის პირველი ლიგის კლუბ „ჰიბერნიენში“ (ედინბურგი) თამაშობს. ამას წინათ მას ესაუბრა პრაღის ყურნალ „გოლის“ გლაზგოელი კორესპონდენტი მაკ ლეოდი.

● დაასრულეთ მოთამაშის კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში?

— არა. ზაფხულში ისევ ვაპირებ თამაშს „ფორტ ლოურდალში“. მაქვს მიწვევა ლოს-ანჟელესიდანაც.

● რა განსხვავებაა ამერიკულ და ევროპულ ფეხბურთს შორის?

— დიდი. ამერიკული ფეხბურთი ჯერ კიდევ ბევრად ჩამოუვარდება ევროპულს. ამერიკული ფეხბურთი კარგი საყურებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მატჩებზე არავინ იქნება. მაყურებელს ათასი რამით იზიდავენ სტადიონზე, რათა შინ არ დარჩეს და მატჩის ცქერა ტელევიზიით არ ამჯობინოს.

● შეადარეთ, თუ შეიძლება, 1968 წლის „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომლის შემადგენლობაშიც თქვენ თამაშობდით, ახლანდელ „ლივერპულს“ ან „ნოტინჰემ ფორესტს“.

— ამ გუნდების შედარება ძნელია, ფეხბურთის ახლა სხვანაირად თამაშობენ. მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედში“ უველა შესანიშნავი მოთამაშე იყო. ახლა კი ჯერ შეუპოვარ მებრძოლს უნდა წარმოადგენდე და მხოლოდ მეორე რიგში — მოთამაშეს. ვფიქრობ, რომ 1968 წლის „მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო საერთოდ ფეხბურთის ისტორიაში.

● სად ცხოვრობთ ახლა, ედინბურგში?

— არა, ლონდონში. აქვე ვვარჯიშობ დამოუკიდებლად. პარაკეობით ჩავდივარ ედინბურგში და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ მატჩის წინ.

● კიდევ რამდენ ხანს ითამაშებთ ფეხბურთს?

— შეიძლება იფიქროთ, რომ მე სარკლამო განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ თავს ერთობ კარგად ვგრძნობ, მით უმეტეს, რომ რამდენიმე კილოგრამიც დავიკელი. მინდა კიდევ ვითამაშო 3-5 წელი (ბესტი დაიბადა 1945 წელს).

● რას აპირებთ ფეხბურთის თავის დანებების შემდეგ?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ცხოვრებაში უველაზე მეტად ფეხბურთს ვაფასებ. ეს, ეტყობა, იმას ნიშნავს, რომ მას თავს არ დავანებებ და ამავე სფეროში კიდევ რამეს გავაკეთებ.

● თქვენ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში 37 მატჩი ჩაგიტარებიათ, უკანასკნელად ამ გუნდში ითამაშეთ 1978 წელს ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ შეიძლება კიდევ დაბრუნდეთ ამ ნაკრებში?

— ამის შესახებ ვესაუბრე ნაკრების მწვრთნელს დანი ბლენჩფლაუერს და ასე შევთანხმდით: თუ კარგ ფორმაში ვიქნები, ისევ დავუბრუნდები ნაკრებს. დანიმ მითხრა, რომ მას ახალგაზრდა გუნდი ჰყავს და სწორედ გამოცდილი ფეხბურთელი სჭირდება. რაც შეეხება ჩრდილოეთ ირლანდიის ახლანდელ ნაკრებს, იგი ერთ-ერთი უძლიერესია ამ გუნდის ისტორიაში.

ჩემპიონატებში, ვარჯიშებში, ღილერებში.

ინგლისი

მორიგი ტურის ცენტრალური მატჩები გაიმართა ნორვიჩსა და მანჩესტერში.

მიმომხილველებმა „სეზონის მატჩი“ უწოდეს „ნორვიჩ სიტის“ შეხვედრას „ლივერპულთან“. მასპინძლები ამ სეზონში თავიანთ მინდორზე არ დამარცხებულან. მათ პირველივე წუთებზე გახსნეს ანგარიში (პიტერსი), ამას მალე „ლივერპულის“ თავდამსხმელ ფაირკლოფის (იგი ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოვიდა 4 თვის პაუზის შემდეგ) მიერ გატანილი ორი გოლი მოჰყვა, მაგრამ რიცხვა პირველ ტაიმშივე გაათანაბრა ანგარიში—2:2. 75 წუთზე ფაირკლოფმა წინ გაიყვანა თავისი კლუბი, ხოლო 81-ე წუთზე „ნორვიჩმა“ ისევ გაათანაბრა ანგარიში (ფაშანი). საქმე ამით არ დამთავრებულა. ბოლო წუთებზე „ლივერპული“ განუწყვეტლივ უტევდა და კიდევ 2 გოლი გაიტანა (დალგლიში, კეინსი) — 5:3!

ამასობაში მანჩესტერში ადგილობრივმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წლეულს პირველი დამარცხება იგემა საკუთარ მინდორზე „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან“. ერთადერთი ბურთი 25-ე წუთზე გაიტანა ევენსმა.

დანარჩენი მატჩები: „არსენალი“ — „ასტონ ვილა“ 3:1, „კოვენტრი სიტი“ — „მანჩესტერ სიტი“ 0:0, „კრისტალ პალასი“— „სტოკ სიტი“ 0:1, „ევერტონი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:4, „ლიდს იუნაიტედი“ — „ბოლტონ უონდერერსი“ 2:2, „მიდლსბრო“ — „დერბი ქაუნთი“ 3:0, „ნოტინჰემ ფორესტი“ — „ბრისტოლ სიტი“ 0:0, „საუთჰემპტონი“ — „ბრაიტონ ალბიონი“ 5:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“—„ტოტენჰემ ჰოტსპური“ 2:1.

ახლა „ლივერპულის“ მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. მას 25 თამაშის შემდეგ 37 ქულა აქვს.

გფრ

XXI ტურში ერთპიროვნული ლიდერი — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ პარ თამაშობდა. ჰამბურგელთა მთავარმა მეტოქემ „კიოლნმა“, რომლის მწვრთნელი ვაისვაილერი კლუბის დირექტორატთან უთანხმოების გამო გადგა, თავის მინდორზე ქულა დაკარგა „შტუტგარტთან“ — 2:2, ხოლო „ბაიერნმა“ სძლია მიონხენგლადბახის „ბორუსიას“—3:1.

სხვა მატჩები: „კაიზერსლაუტერნი“ — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 4:0, „აინტრაჰტი“ (ბაინის ფრანკფურტი) — „აინტრაჰტი (ბრაუნშვაიგი) 7:2, „ბაიერი“ (უერდინგენი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 3:0, „ბოხუმი“ — „მიუნხენ 1860“ 2:0, „დუისბურგი“ — „შალკე 04“ (გელზენკირხენი) 1:2.

XXI ტურის შემდეგ 28 ქულა მოაგროვეს „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“, „ბაიერნმა“ და „კიოლნმა“, მაგრამ ჰამბურგელებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

ჯერჯეროზით-მეექვსე

სამთოთმოთხილამურე ვაჟებმა სწრაფდაშვებაში ურთიერთობის გარკვევის შემდეგ სამი დღით „ამოისუნთქეს“ და კვლავ სარბიელს დაუბრუნდნენ — ამჯერად გიგანტურ სლალომში (პირველი ცდა) საასპარეზოდ. სტარტზევე მოპოვებულ უპირატესობას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ გამოცდილ ოტატებს არც ის ეშლებათ, რომ ამჯერად რიკი გამორიცხულია და მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მეორე ცდისას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს „ოქროს“ მაძიებლებს.

აქაც, იაე, როგორც მსოფლიო თასის გათამაშების შეხვედრებში, ფავორიტები თითქოს თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ერთობ ეკონომიურად ეშვებოდნენ და ძალებს ინახავდნენ მეორე დაშვებისთვის, რომელიც 19 თებერვალს გაიმართა. ჰირველმა ცდამ უპირატესობა მოუტანა ლიტუნწტეინელ ა. ვენცელს. მან 1354-მეტრიანი ტრასა (56 კარი) 1.20,17-ში გაიარა და 0,14 წამი მოუგო ჰ. ენს, რომელმაც დღის მეორე შედეგი აჩვენა. ავსტრიელმა თავის მხრივ 0,18 წამით აჯობა მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელს შვედ ი. სტენმარკს — 1.20,49.

კარგად იასპარეზა მონჩეგორსკელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 24 წლის ვ. ციგანოვმა. მისი შედეგი (VI ადგილი) მას უფლებას აძლევს მეორედ დაშვებაში უძლიერეს ათეულში აიღოს სტარტი, რასაც ადგილების საბოლოო განაწილებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

პირველი „ოქრო“

ვან ჰოვენბერგის თოვლის სტადიონზე თხილამურებით მორბენალთა პროგრამის მეოთხე სახეობა იყო ქალებს შეჯიბრება 10 კილომეტრზე. 5 კილომეტრზე გამარჯვების შემდეგ რ. სმეტანინას „აქციებმა“ საგრძნობლად აიწია. გდრ-ის, ფინეთის, შვეიცის, სხვა ქვეყნების მწვრთნელები თავიანთ აღზრდილებს ათასნაირ რჩევას აძლევდნენ როგორ წარემართათ ასპარეზობა, რომ სმეტანინა დაემარცხებინათ.

წილისყრამ საბჭოთა ოსტატს ერთ-ერთი ბოლო ნომერი არგუნა, მაგრამ, როგორც ბრძოლის მსვლელობამ დაადასტურა, სიკეთივარელმა ოსტატმა პირველ სახეობაში გამარჯვებას დიდძალი ენერგია შეალია და ამჯერად მხოლოდ იმ შეძლო, რომ საბჭოთა სპორტსმენებს „შორის ყველაზე უკეთესი IV ადგილი დაეკავებინა, (30.54,48). მეხუთე და მეექვსე ადგილებიც მისმა თანაგუნდელებმა, იეევ-კელმა გ. კულაკოვამ და ლენინგრადელმა ნ. ბალდიჩევამ დაიკავეს.

ბრწყინვალედ გამოვიდა 25 წლის **ბ. პეტცოლდი** (გდრ), რომელმაც სათხილამურო რბოლებში ოლიმპიადების ისტორიაში პირველი „ოქრო“ მოუტანა თავის ქვეყანას — 30.31,54. „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ ერგოთ ფინელებს **ჰ. რიჰუვუორს** და 5 კილომეტრზე რბოლაში ოლიმპიადა-76-ის ჩემპიონს **ჰ. ტაკალოს**. ამ უკანასკნელმა სმეტანინას ფინიშთან 9 წამით მიასწრო.

მოზაიკა...

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ჰიუ კერიმ ლეიკ-პლესიდის რაიონში ტრანსპორტზე საგანგებო მდგომარეობის შემოღება გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორთა დასახმარებლად დამატებით გამოყოფილი იქნა ნიუ-იორკის შტატის სხვადასხვა ქალაქიდან სასკოლო და სხვა 50 ავტობუსი, ქალაქში მაინც დგას სპორტის მოყვარულთა უმველესი რიგი. „დროის 70 პროცენტი ლეიკ-პლესიდში ავტობუსის ლოდინში გაეატარეთ, — განაცხადა კონეკტიკუტის შტატის მცხოვრებმა ბ. კრილზმა. მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეისტთა მატჩის დროს. სტატისტიკაზე პასუხისმგებელი პირები შეშფოთდნენ. ისინი მდგომარეობიდან გამოიყვანა ასოშიეიტედ-პრესის საგაზეთო რეპორტიორმა ფრენკ ბრაუნმა, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგის ბლანკებზე აღნიშნავდა სტატისტიკურ მონაცემებს. შედეგად პრეს-ცენტრში გამოჩნდა ძალზე ორიგინალური ოქმი: „1978 წელს სტენლის თასისა გათამაშებაში „ფილადელფია ფლაიერსის“ მატჩის სტატისტიკური ანგარიში“. სწორედ ამაზე იყო მიწერილი ოლიმპიური ტურნირის მორიგი მატჩის მონაცემები.

ბოლოს და ბოლოს ტელეკომპანია ეი-ბი-სის რეჟისორებმა დარმსახურეს მკაცრი ტელეკრიტიკოსების კომპლიმენტები. სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებების ტრანსლაციის დროს რეჟისორებმა ეკრანზე აჩვენეს არა მარტო სპორტსმენი, არამედ ტაბლო „სპიდგანი“ — ხელსაწყო, რომლითაც სისწრაფეს აღრიცხავენ... სახელმწიფო ავტოინსპექციის ინსპექტორები. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო ცალკეულ მონაკვეთებზე სპორტსმენთა დაჯარიმება, რამდენადაც ისინი აჭარბებდნენ ნიუ-იორკის შტატის გზებზე დაშვებულ მაქსიმალურ სისწრაფეს. საათში 55 მილის ნაცვლად ისინი ავითარებდნენ 89 მილს.

ავტობუსს, რომელსაც გადაჰყავს საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფი, მართავს იტალიური წარმოშობის ამერიკელი რუს ტამბერელი — შავთმიანი ჩასუქებული კაცი. პირველ დღეს, როცა გაიგო, რომ საბჭოთა მოთხილამურემ მოიპოვა ოქროს მედალი 30 კმ დისტანციაზე, მან მხიარულად შესძახა: „ყოჩაღ რუსებო, არ შეარცხვინეს ჩემი სახელი“.

მეორე დღეს, როცა რაისა სმეტანინამ გაიმარჯვა, მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მან საბჭოთა ჟურნალისტებს მოულოცა თანამემამულის წარმატება და თქვა: „ვთხოვ შეფს, რათა მიმმაგროს საათხილამურო მარშრუტზე. ხომ უნდა გავიგო რას იზამენ ჩემი „სეხნიები“?

სპორტის მოყვარულთა ცდები, მახლობელი ქალაქიდან წინასწარ შეეკვეთათ ბილეთები, ამაო გამოდგა: 16 თებერვალს მწყობრიდან გამოვიდა ოლიმპიადის სალაროების მომსახურე სატელეფონო ქვესადგური. ჩვეულებრივ, სალაროები საათში ერთხელ ტელეფონით ღებულობდნენ 2,5 ათას შეკვეთას. კომპანია „ნიუ-იორკ ტელეფონის“ დაპირების მიუხედავად, სატელეფონო კავშირის აღდგენა მოხერხდა მხოლოდ 12 საათის შემდეგ. (საკდესი).

დღეს ოლიმპიადაზე

მედლების ორი კომპლექტი გათამაშდება. ურთიერთობას გაარკვევენ მოციგურე ქალები (ერთმანეთს შეეჯიბრებიან 3000 მეტრზე) და მოთხილამურე ვაჟები (4X10 კილომეტრზე ესტაფეტას გაიმართავენ). ასპარეზობები მოეწყობა, აგრეთვე, ქალების გიგანტურ სლალომში (პირველი ცდა), ქალთა ფიგურულ სრიალში (სავალდებულო პროგრამა) და ჰოკეიში (ქვეჯგუფებში).

თამაშების ცაბლო

თხილამურებით რბოლა. 10 კმ. ქალები. ბ. პეტცოლდი (გდრ) —30.31,54, ჰ. რიჰუვუორი — 30.35,05, ჰ. ტაკალო (ორივე — ფინეთი) — 30.45,25, რ. სმეტანინა — 30.54,46, გ. კულაკოვა — 30.58,46, ნ. ბალდიჩევა — 31.22,93... 14. ი. ხუსლოვა (უველა — სსრკ) —31.48,39.

ვაჟები. თხილამურებით რბოლა. 15 კმ. თ. ვასბერგი (შვეცია) — 41.57,63, ი. მიეტო (ფინეთი) — 41.57,64, უ. ვაუნლი (ნორვეგია) — 42.28,62, ნ. ზიმიატოვი — 42.33,96, ე. ბელიაევი (ორივე — სსრკ) — 42.46,02, ი. ლუშჩეკი (პოლონეთი) — 42.59.03, ა. ზავიალოვი (სსრკ) — 43.06,81... 13. ვ. როჩევი (ორივე — სსრკ) — 43.16,83.

ციგურებით რბენა. 1000 მ. ქალები. ნ. პეტრუხიოვა (სსრკ) — 1.24,10 (ოლიმპიური რეკორდი), ლ. მიულერი (აშშ) — 1.25,41, ხ. ალბრეხტი — 1.26,46, კ. ენკე (ორივე — გდრ) — 1.26,66, ბ. ჰაიდენი (აშშ) — 1.27,01, ა. ბორკინკი (ჰოლანდია) — 1.27,24... 11. ვ. ლალენკოვა— 1.28,27... 20. ი. კოვროვა (ორივე — სსრკ) — 1.29,94.

ფიგურული სრიალი. სპორტულ წყვილთა შეჯიბრება. ი. როდნინა და ა. ზაიცევი — 147,26 (ადგილების ჯამი — 9), მ. ჩერკასოვა და ს. შაბრაი (ორივე წყვილი — სსრკ) — 143,80 (19), მ. მაგერი და უ. ბეველდორფი (გდრ) — 140,52 (33), მ. პეშტოვა და ს. ლეონოვიჩი (სსრკ) — 141,14 (31), მ. და პ. კარაზერსები (აშშ) — 137,88 (46), ს. ბესი და ტ. ტირბახი (გდრ) — 136,0 (53).

სწრაფდაშვება. ქალები. (ტრასის სიგრძე — 2698 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 700 მ). ა. მოზერ-პრიოლი (ავსტრია) — 1.37,52, ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) — 1.38,22, მ.-ტ. ნადიგი (შვეიცარია) —1.38,36,ჰ. პრიოისი (აშშ) — 1.39,51, კ. კრეინერი (კანადა) — 1.39,53, ი. ებერლე (ავსტრია) — 1.39,63.

70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომა. ა. ინაუერი (ავსტრია) — 266,3 ქულა (ნახტომები — 89 და 90 მ), მ. დეკერტი (გდრ) — 249,2 (85 და 88), ხ. იაგი — 249,2 (87 და 83,5), მ. აკიმოტო (ორივე — იაპონია) — 248,5 (83,5 და 87,5), პ. კოკონენი (ფინეთი) — 247,6 (86 და 83,5), ჰ. ნოიპერი (ავსტრია) — 245,5 (82,5 და 88,5)... 21. ა. ბოროვიტინი — 220,3 (80,5 და 76)... 31. ვ. ვლასოვი — 204,8 (80 და 71,5)... 33. ი. ივანოვი — 200,3 (71 და 78)... ა. შაკიროვი (უველა — სსრკ) — 147,1 (61 და 63,5).

ჰადრაკი

ზელიზედ 9 გამარჯვება

სამტრედია, 19 თებერვალი (ჩვენი სპეც. კორ.). რაიონის საჰადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს მოჰადრაკე ქალთა ნახევარფინალი, რომელშიც კიდევ ოთხი (IX, X, XI, XII) ტური გათამაშდა.

კვლავ წარმატებით იბრძოდა ერთპიროვნული ლიდერი ქუთაისელი ე. ფახეიროვა — IX ტურში მ. დიდებელი (გორი) დაამარცხა, ხოლო თანაქალაქელ ი. კურცხალიასთან ყაიმის შემდეგ ზედიზედ მოუგო ზ. ხვედელიძეს (სამტრედია) და მ. დოლბაიას (ცაგერი).

თბილისელმა გ. ალიხანაშვილმა განაგრძო გამარჯვებათა სერია: IX ტურში სძლია დოლბაიას, მერე — ა. ეფრემიძეს (გორი). ეს იყო მისი ზედიზედ მეცხრე გამარჯვება. XI ტურის შეხვედრა ი. სალდაძესთან (სამტრედია) გადაიდო, ხოლო XII ტურში დაუზავდა ნ. გოგიას (ცხაკაია).

კარგად ითამაშეს კურცხალიამ და სალდაძემ. პირველმა ოთხ შეხვედრაში 3,5 ქულა მოაგროვა (მოუგო თანაქალაქელებს ი. ამბროლაძეს, ლ. შანიძეს და აფხაზეთის წარმომადგენელ ქ. არახამიას), მეორემ — სამ პარტიაში 2 ქულა (დაამარცხა გოგია და ყაიმზე შეუთანხმდა ეფრემიძესა და სამტრედიელ მ. გოგიშვილს). აღსანიშნავია მ. ჩაჩიბაიას (ცხაკაია) წარმატება: მან ბოლო სამ ტურში ყველა შეხვედრა მოიგო.

12 ტურის შემდეგ ე. ფახეიროვას 11 ქულა აქვს, გ. ალიხანაშვილს — 9,5 (1), ი. კურცხალიას — 8,5, ი. სალდაძეს —8 (1), ი. ამბროლაძეს, მ. ჩაჩიბაიას — 8-8, გ. ლაგვილავას (ქუთაისი) — 7,5.

ა. მაჩიტიძე,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

7.5 ქულა 8-დან

ქუთაისი, 19 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის მასობრივ ტურნირში, რომელსაც ქუთაისის სამთო-ტექნიკუმი მასპინძლობს, ბრძოლა უმაღლესი (ერთი) და პირველი ლიგის (ორი) საგზურებისათვის სულ უფრო მძაფრდება.

VIII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების დ. გურგენიძისა (საგარეჯო) და რ. კაპანაძის (თბილისი) შეხვედრა. შუა თამაშში კაპანაძემ პაიკი დაკარგა და ბრძოლა ეტლების ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ძალიან ძნელია ზედმეტი პაიკის რეალიზება... მაგრამ ეტიუდის ცნობილმა ოსტატმა გურგენიძემ საუცხოოდ გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

პირველი მარცხი იწვნია ოსტატმა ჯ. ბერაძემ (წყალტუბო) ი. სიფრაშვილთან (სიღნაღი) შეხვედრაში. კ. შავგულიძემ (ქუთაისი) სძლია ტ. ცოტნიაშვილს (სამხრეთ ოსეთი), მ. ჭიპაშვილმა (თბილისი) — ი. პაპავაძეს (მცხეთა) და მ. არჩვაძემ (სამტრედია) — ა. ბლიუმგარდს (ქუთაისი). გადადებული პარტიის დამთავრებისას გიორგაძე დამარცხდა ბერაძესთან.

8 ტურის შემდეგ დ. გურგენიძეს 7,5 ქულა აქვს, კ. შავგულიძეს — 7, ჯ. ბერაძეს, ი. სიფრაშვილს — 6-6, გ. გიორგაძეს, რ. კაპანაძეს, ტ. ვალიევს, მ. არჩვაძეს — 5,5-5,5.

5 ქულა მოაგროვა ირმა აბზიანიძემ (ქუთაისი). VIII ტურში მან მოუგო გარდაბნელ ოსტატობის კანდიდატ ვ. სტრელნიკოვს. თამილა მესხს 4 ქულა აქვს.

ზ. ბურჭაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მძლეოსნურ მერიდიანზე

ლეიკ-პლესიდში ზამთრის ოლიმპიადაზე რბენაში ქალთა ესტაფეტაში საუკეთესო შედეგით იმარჯვა კვინიელმა მ. ბოიტმა — 1.48,6. ირლანდიელმა ი. კაფლინმა მილზე რბენაში ზამთრის სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი — 3.52,9 აჩვენა. სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო თასის მფლობელმა, ამერიკელმა ფ. ჯეკობსმა 228 სმ გადალახა.

პიუსტონში ამერიკელმა ქალმა მ. დეკერმა მილზე რბენაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 4.17,6. მისმა თანამემამულემ, ათჰილეტმა რ. კოფმენმა ხუთჰიდში გაიუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი — 4272 ქულა.

ვინიპეგში (კანადა) მასპინძელმა დ. ბრილმა 195 სმ სიმაღლე გადალახა. ეს წლეულს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიოში.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მეექვსე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:

პირველი: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (12 ბარათი) მოგება 4.745 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 30 ბარათი) — 97, ოთხისთვის (800 ბარათი) — 72, სამისთვის (18182 ბარათი) — 4.

მეორე: ექვსი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 9076 მანეთია. ექვსი ციფრი (შეღავათიანი ბურთულით) ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (6 ბარათი) მოგება 3149 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 11 ბარათი) — 116, ოთხისთვის (330 ბარათი) — 91, სამისთვის (8547 ბარათი) — 4.

„სპორტლოტო 5-36“-დან:

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (662 ბარათი) — 235, სამისთვის (28214 ბარათი) — 6.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (10 ბარათი) მოგება 6926 მანეთია, ოთხისთვის (828 ბარათი) — 149, სამისთვის (25328 ბარათი) — 6.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 20 თებერვლიდან 20 მარტის ჩათვლით.

რედაქტორი ა. გასილაია.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო და „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლის დირექცია აცხადებენ, რომ უფროსი და საშუალო ასაკის მშრომელთა საერთო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების მიზნით მძლეოსნობის სასახლესთან **პირველი მარტიდან იხსნება ჯანმრთელობის ჯგუფები.**

ჯგუფებში მეცადინეობა შეუძლიათ ორივე სქესის მოქალაქეებს. მეცადინეობა იწარმოებს დილის 9-დან 10 საათამდე და საღამოს 7-დან 8-საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება სასახლის დირექციაში.

მისამართი: წერეთლის პროსპექტი № 95-ა. ტელეფონი 34-70-09, 34-77-29, 34-77-09.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო, სასახლის დირექცია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის ვისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჰადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02071